ПРОЛЕТАРЕБО ყველანი ერთიანნი!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 8 (19450) ◆ პარასკევი, 10 იანვარი, 1986 წელი ◆ ფასი 8 კაპ.

მხარი დამუჭიროთ ინიციატივას დევიზით:

წლის ორი თვის გეგმა — სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის!

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანას 125 წელი შეესრულდა. დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა შინამრეწველური სახელოსნოები, სადაც მუშები ლუკმაპატრის საფასურად მძიმე, ადამიანური ღირსების შემლახავ მონურ შრომას ეწეოდნენ. დღეს შესანიშნავი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების ქარხანა უახლესი მანქანა-დანადგარებით არის აღჭურვილი და მათ მაღალი კვალიფიკაციის მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ემსახურება.

ქარხანა უკვე 58-ე წელია ს. ორჯონიკიძის სახელობისაა. მისი კოლექტივი ღირსეულად განაგრძობს შრომითს ტრადიციებს. აქ ამჟამად მზადდება პირველადი მეღვინეობისა და ჩაის მრეწველობისათვის საჭირო აღჭურვილობა: ყურძნის წებრები, დამბარისხებელი მანქანები და როლერები. მისმა კოლექტივმა 1985 წლის გეგმით გათვალისწინებული 9 მილიონ 600 ათასი მანეთის ნაცვლად 10 მილიონ 121 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედში კი 42 მილიონ 400 ათასი მანეთის ნაცვლად 44 მილიონ 393 ათასი მანეთის პროდუქცია დაამზადა. გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმაც.

ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც კარგად დაიწყო ახალი წელი, სკკპ XXVII ყრილობამდე დარჩენილი დრო დამკვრელურად გამოაცხადა.

ქარხნის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ, წამყვან ძალად ითვლება საამწყობო საამქრო. აქ „ცოცხლდებიან", დასრულებულ სახეს იღებენ სხვადასხვა საამქროში დამზადებული დეტალები და მექანიზმები. საამქროს ზინაკალ-ამწყობთა კომპლექსურ ბრიგადის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ბორის ბურაკოვმა ერთ დღეს ბრიგადის წევრები შეკიბა და ჩანაფიქრი გაანდო.

— სწორია, მართალია! საყრილობო ნობათი ნამდვილად მნიშვნელოვანი და ხელშესახები უნდა იყოს, — კვერი დაუკრეს ბრიგადის წევრებმა.

ბორისმა საამქროს საერთო კრებაზე ბრიგადის წევრთა სახელით განაცხადა, რომ მისი კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს ორი თვის გეგმა (29 წმინდის აწყობა) 25 თებერვლისათვის შეასრულოს, ხოლო თვის დამლევამდე დარჩენილ დღეებში კიდევ სამი წმინდი გამოუშვას და ამით 20 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია დაამზადოს.

ამ თაოსნობას მხარი აუბა საწარმოს მრავალმა შრომითმა კოლექტივმა.

მ. ᲗᲣᲒᲘᲗᲘᲫᲔ.

თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობით

ᲓᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲭᲣᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲐ, რომ თეორია უპრაქტიკოდ საზოგადოებას ვერასოდეს ვერ მოუტანს არსებითს სარგებლობას. ასევე აუცილებელია პრაქტიკა სათანადოდ დასაბუთებულ თეორიულ დებულებებს, რეკომენდაციებს ეფუძნებოდეს. სწორედ თეორიისა და პრაქტიკის, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ამისათვის უდიდი კონკრეტული გარჯა ნებისმიერი წარმატების უმთავრესი წანამძღვარი და გულდაჯერებული წინსვლის საუკეთესო გარანტია.

ამიერმიდ არის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მარქსიზმ-ლენინიზმის უფუძდებელთა სახელმძღვანელო მითითებებისამებრ, რომლებიც უდიდ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცეს ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს, ყოველდღიურად იღვწის თეორიისა და პრაქტიკის, სიტყვისა და საქმის ერთიანობისათვის. და ეს აუცილებელია, რადგან, როგორც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე აღნიშნა, ის, რომ ზოგჯერ ადამიანს ერთი რამ ესმის, ცხოვრებაში კი სულ სხვა რამეს ხედავს, სერიოზული და არა მარტო აღმზრდელობითი, არამედ პოლიტიკური საკითხიც გასწავლეთ.

საქმისადმი კომუნისტური პარტიის ამგვარი მიდგომის საუკეთესო დასტურია საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის პრესაში გამოქვეყნებული სკკპ საყრილობო დოკუმენტების პროექტებიც, რომლებშიც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ღრმად მეცნიერული მოძღვრების საფუძველზე და მისი გათვალისწინებით დასახულია ჩვენი სოციალისტური საშმობლოს თავდაცვისუნარიანობისა და ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის ყოველდღიური შემოქმედებითი, მაძიებელური პრაქტიკული. მუშაობის ენერგიული გეგმა და მიმართულება. „კომუნისტის" სარედაქციო ოსტატ უწყვეტ ნაკადად იღვრებ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ყველა ფენის წარმომადგენელთა წერილებს, რომელთა ავტორები ერთსულოვნად იწონებენ პარტიის კურსს, გვთავაზობენ საყურადღებო კონკრეტულ მოსაზრებებს, თავიანთ კორესპონდენციებსა და თეორიულ სტატიებში აყენებენ მუშაობის გაუმჯობესების პრაქტიკულ წინადადებებს. „კომუნისტის" რედაქციამ გადაწყვიტა ასეი რუბრიკით „ყრილობისწინა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა" რეგულარულად გამოქვეყნოს ისინი. დღევანდელ პუბლიკაციაში საუბარი გვექნება მაგნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების გამომწვევ ზოგიერთ მიზეზზე და მათი აღმოფხვრისათვის ამ ბოლო ათწლეულში გაწეულ შუამობაზე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ იქ, სადაც მოიკოჭლებს დისციპლინა და მომთხოვნელობა, სადაც ყოველდღიურად არ ზრუნავენ კანონიერებისა და მართლწესრიგის განუხრელი დაცვისათვის, მუდამ შედარებით იოლად იკიდებს ფეხს და თანდათანობით მკვიდრდება ყოველი ცოცხალი საქმის მტერი — ფორმალიზმისა და თვალისასხვევის, ნათლიმამბისა და ყოველისმიმტკვნელობის, ნებისმიერი სხვა ნეგატიური მოვლენის გაფურჩქვნა-აყვავების ხელშემწყობი ატმოსფერო.

სამოციანი წლებიდან მოყოლებული ვიდრე სამოცდაათიანი წლების დასაწყისამდე სწორედ ასე ყალიბდებოდა და ღრმად იდგამდა ფესვებს ჩვენს რესპუბლიკაში სოციალისტური საერთო ცხოვრების წესის, კომუნისტური მორალისათვის უცხო, ანომალიური მოვლენები, თანდათანობით ყალდებოდა, უფიქსდებოდნენ და საქმისნურ მანტიაში ეხვეოდა მრავალსაუკუნოვანი სასახელო ქართული ტრადიცია, საქვეყნოდ სახელგანთქმული ქართული სტუმართმოყვარეობა, რომელთა ხელ უფრო მოხერხებულად ინიღბებოდა მავანთა და მავანთა მეშჩანური, კერძოსაკუთრული, მომხვეჭველური სულისკვეთება, თითქმის დაუფარავად ყელყელობდა ძვირფასი ანტიკერული ავჟღინა და ნივთების ფეტიშიზმი, ფსევდოპატრიოტიზმი, რომელიც გარკვეულ წრეებში ხელ უფრო მეტად განამტკიცებდა ადგილს საქართველოში იოლო ცხოვრების შესახებ.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მრავალმა მოხვეჭის ეყარო ბიზნესა ზოგჯერ ქრთამს გათანაბრებული ძვირფასი ძღვენებით, „გადასურვით", „მოლარეგისტრატორებით" ნამდვილი შინაარსდაკარგული, ყოველგვარ ზომიერებას მოკლებული, წრეგადასული ეთმპეზური დღეობები თუ ქეობები, ქორწილები და თვით ასლობელთა ქელეხებიც კი... ასე თანდათანობით უსამსდებოდა მამა-პაპათაგან ნაანდერძევი მრავალი შესანიშნავი წეს-ჩვეულება და, შესაბამისად, საზოგადოების გარკვეული ნაწილის ფსიქოლოგიაც. ხოლო ყოველივე ამის კვალობაზე, როგორც მიმვებულობისა და უკონტროლობის ლოგიკური შედეგი, მრავლდებოდა და ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცეოდა ბევრი სერიოზული ნაკლი თუ ხარვეზი, რომლებიც და რომელთა გამოსწორებისათვის გაწეული უნიათო შუამაგა პრინციპულად შეაფასა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე მიღებული თავისი ცნობილი დადგენილებით.

და უწინარესად სწორედ მისი მოთხოვნების უცილობელი შესრულების, კანონიერების, დისციპლინის განმტკიცების, ყველგან და ყველაფერში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით გაჩაღებული ყოველდღიური შეუპოვარი, პრინციპული ბრძოლის შედეგად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა დარგში, უბანზე მოსმდარი თვალსაჩინო სახიერთო გარდაქმნები, ის შესანიშნავი წარმატებები, წინსვლის გრანდიოზული პერსპექტივები, რომლებითაც საბჭოთა საქართველოს მშრომელები პარტიის მორიგ, XXVII ყრილობას ეგებებიან.

საკუთრივ მაგნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის თვისებრივად ახალი, გადამწყვეტი ეტაპი კი დაიწყო ამ ათი წლის წინათ, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო შესაბამისი დადგენილება. შეიქნა ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკური კომისია, შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებების მონაწილეობით სერიოზული შუამაგა გაიშალა რესპუბლიკაში მეხოერები ყველა ერისა და ეროვნების სარიტუალო მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლის, ჭეშმარიტად ხალხური ტრადიციების რელიგიურ გადმონაშთთაგან გაწმენდის, ხალხის სულიერ ცხოვრებაში არსებული ყოველივე საუკეთესოს დაცვის, მათი ახალი, სოციალისტური ჩვეულებით გამდიდრებისათვის, შეიქმნა სახალხო დღესასწაულების მომზადება-გამართვის ერთიანი სისტემა. ამჟამად რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სახელმწიფო-კალენდარული ზეიმების აღნიშვნასთან ერთად იმართება 150-მდე მასობრივი სახალხო დღესასწაული, რომლებიც საგრძნობლად უწყობენ ხელს ადამიანთა თავისუფალი დროის გონივრულ გამოყენებას, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდა-ჩამოყალიბების სწორ ფორმირებას, მაგნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

დადგენილების მიღებიდან დღემდე განვლილ პერიოდში დამკვიდრდა ბევრი ისეთი შესანიშნავი ღონისძიება, რომლებიც სიამოვნებით მიიღეს და გაითავისეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა. ასეთებია, კერძოდ, სახალხო ზეიმები „გარეჯობა", „კოლხობა", „ფაზისობა", ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ჭეშმარიტად ნათელი დღესასწაული „თბილისობა", ზუგდიდის რაიონში, რუსის ცისხსიმგრეთსან გამართული ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისადმი მიძღვნილი ზეიმი, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ახალგაზრდობის ტრადიციული გულითადი შეხვედრები წითელ ხიდთან... ერთსულოვანი მხარდაჭერა დაიმსახურა „ხსოვნის დღის" შემოღებამ, რომელიც მარშან შესამედ აღინიშნა რესპუბლიკაში. სულ უფრო იხვეწება და მკვიდრდება ჩვენს ყოფაში ქორწინების, დაბადების დღის, სახელდების, „ოქროს" და „ვერცხლის", ქორწილების აღნიშვნის, შუშად, კოლმეურნეულ კურთხევის, პასპორტის გადაცემის, პირველი ხელფასის მიღების, საბჭოთა არმიის რიგებში გაცილების ახალი, საბჭოური რიტუალები, შრომითი დინასტიების, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებადმი მიძღვნილი ზეიმები და სხვა, რომელთა მომზადება-მოწყობის რეკომენდაციები შეიმუშავა და ყველ ქალაქსა თუ რაიონს დაუგზავნა რესპუბლიკურმა კომისიამ.

ამ შუამაობის მაღალ დონეზე წარმართვისათვის, ცხადია, საჭიროა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საამისოდ რესპუბლიკაში სერიოზული შუამაბაა გაწეული. ამოქმედდა სადღესასწაულო რიტუალების სახლები, შარშანწინდელი „თბილისობისათვის" კი თბილისში გაიხსნა დღესასწაულობათა უზადო რესპუბლიკური სასახლე.

ყოველივე ამის შედეგად, აგრეთვე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, ადგილებზე არსებული ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის კომისიათა შუამაობის გააქტიურების წყალობით მართლაც ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, მაგრამ გასაკეთებელ-მოსაგვარებელი და საფიქრალ-საზრუნავი კვლავაც ბევრია. პარტიის ყველა საქალაქო და რაიონული კომიტეტი ერთნაირი მონდომებითაა და პასუხისმგებლობით აჯ იბრძვის ამ მხრივ ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის. მათს შუამაობაში ხშირად შეიმჩნევა კამპანიურობა, ფორმალიზმი, მომთხოვნელობის შესუსტება. პასიურობს მრავალი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო, პირველადი პარტორგანიზაცია, რომელთა შემრიგებლური პოზიციით, წაყრუებით, უსისტემო შუამაობით გათამამებული ცალკეული ადამიანები კვლავაც მართავენ ხალხმრავალ ღრეობებს, რომლებიც ხშირად ლამის ტრაგიკულადაც მთავრდება.

ასე მოხდა მარშან, კერძოდ, ზესტაფონის რაიონის სოფელ ძლიერურდანეთში, სადაც ფერიშენდნობთა ქარხნის მუშამ თ. კიკნაველიძემ და მისმა მეუღლემ, სოფელ ტაბაკინის საშუალო სკოლის მასწავლებელმა თ. გელენიძემ თავიანთი ვაჟიშვილის საბჭოთა არმიის რიგებში გაცილებასთან დაკავშირებით გამართეს ხალხმრავალი წვეულება, რომელიც ღვინით სავსე ყანწებისა და ლუდის კათხების ტრიალმა ნამდვილ ღრეობად აქცია. ბასუსით გონებაარეული სუფრის წევრები ერთმანეთს დაერივნენ და ერთ-ერთი თავიანთი თანამებრძოლი ტაბაკინელი დროებით უმუშევარი რ. აბიანდაძე დანით დაჭრეს. ანალოგიური შემთხვევა მოხდა მარშანვე ვეფუკორის რაიონის სოფელ ნაგვაზაშიც— იქაც სუფრის ერთ-ერთი წევრის სისხლი დაიღვარა.

მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა, სამწუხაროდ, კიდევ შეიძლება. მართალია, ყოველი ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტის თაობაზე ოპერატიულად და პრინციპულად კი იმსჯელეს ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა, მკაცრადაც დასჯეს დამნაშავენი, მაგრამ ეს სრულებითაც არ კმარა. საჭიროა პროფილაქტიკური, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გააქტიურება, ის, რომ ყოველგვარი ნეგატიურის წინააღმდეგ ბრძოლას ჰქონდეს სისტემური და არა კამპანიური ხასიათი. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინონ იმათ მიმართ, ვინც ჯერ ისევ ვერ შელეწია იოლი გამდიდრების ცდუნებას, მამასისხლად აგირავებს „სეფუბს" სათანადო აღჭურვილობებითურთ (მარტო იმავე ზესტაფონის რაიონში მარშან მხოლოდ ერთ კვირაში ადმინისტრაციულმა ორგანოებმა 26 ასეთი „სეფუ" ამოიღეს სარფის მოყვარულთა ოჯახებიდან). და ეს ხდება მაშინ, როდესაც ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკის დანაშაულებრივი დაუდევრობით, უგულისყურობითა და უხერხემლობით ამ მხრივ მდგომარეობის რადიკალური გამოსწორებისათვის გამიზნული ზოგიერთი კარგი წამოწყება ძირითადად მხოლოდ კეთილ სურვილებად რჩება. ასეთი მდგომარეობაა თუნდაც თბილისის გაერთიანება „განთიადში", რომელზეც რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტთა მე-40 პარტიულ კონფერენციაზე ყურადღება გამახვილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

ბევრგან, კერძოდ, სამტრედიაში, ახმეტაში, ცხაკაიაში, კასპსა და სხვა რაიონებში ირღვევა სახალხო დღესასწაულების მოწყობის დადგენილი გრაფიკი, გარდაბანში, ბორჯომში და სხვაგან შეუფერებელ ნაგებობებშია მოთავსებული მშაჩის რაიონული განყოფილებები, ზოგან, მაგალითად, თელავში სათანადოდ არ ზრუნავენ საბჭოთა არმიის რიგებში წვევამდელთა გაცილების, პასპორტების გადაცემისას საზეიმო ატმოსფეროს შესაქმნელად, ქობულეთის, ხულოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც დაძრწიან და გულუბრყვილოებს ყელუფენ თვითმარქვია მოლები. არის სხვა სერიოზული ხელშემშლელი მიზეზებიც, რომელთა შესახებ ლაპარაკია გაზეთ „კომუნისტის" პუბლიკაციაში „სახიერთო გარდაქმნათა ათწლეული" (იგი დღევანდელ ნომერში იბეჭდება ზემოაღნიშნული ახალი რუბრიკით). მათი აღმოფხვრისათვის საჭიროა თითოეულისა და ყველას ერთობლივი მონდომება, პასუხისმგებლობა, ინიციატივა, უშეალავათო ბრძოლა.

„პარტია, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, — კვლავაც ყველაზე გადამჭრელ ბრძოლას აწარმოებს ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რომლებიც უცხოა სოციალისტური ცხოვრების წესისათვის, ჩვენი კომუნისტური მორალისათვის". სწორედ ამ მითითებით ხელმძღვანელობს ამჟამად საქართველოს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია, მისი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებს ბრძოლას ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, პრინციპულ შეფასებას აძლევს კომუნისტური მორალის მოთხოვნებისაგან უმცირეს გადახრასაც კი, ყოველ ღონეს ხმარობს ყველგან და ყველაფერში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის. ხოლო ეს მიღწეულის განმტკიცების, ახალ წარმატებათა მოპოვების საიმედო საწინდარია.

იური კოგუტენკო: საზღვარზე მთავარია ადამიანები

— **თანამოსაუბრე** ამხანაგების მიერ ჩვენს მიმართ გაწეული ნდობა ორმაგად უნდა დავიფასოთ. ყრილობის მუშაობის დღეებში, თუნდაც სულ მცირე ხნით, ისინი ხომ თვითონ კისრულობენ ჩვენს საქმეებსა და საზრუნავს. პასუხისმგებლობა კი ჩვენს მუშაობაში ისედაც დიდია — ჩვენ ხომ ქვეყნის ფარი ვართ...

ეს გახლავთ იმ ადამიანის სიტყვები, რომელიც რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმზე მოვა წინა ზაზიდან, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, წინა ხაზიდან, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფს ორ სამყაროს. პოლკოვნიკი იური კოგუტენკო წითელდროშოვანი სასაზღვრო რაზმის უფროსია ქალაქ ბათუმში.

საზღვრის დაცვა, რომელიც საქმეში ჩაუხედავებს სათავგადასავლო ფილმის საინტერესო ეპიზოდებად წარმოუდგ ბ ა თ, მისთვის ყოველდღიური მძიმე, თავდადებული მუშაობაა. მან იცის საფარში საათობით ლოდინის, განაშის, უგზოობაში მრავალკილომეტრიანი გადასვლების ფასი.

სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტიდან: „...სანამ არსებობს საფრთხე, რომ იმპერიალიზმი გაიჩაღებს აგრესიას, საომარ კონფლიქტებსა და სხვადასხვაგვარ პროვოკაციებს, დაუცხრომელი ყურადღებით უნდა ვეკიდებოდეთ სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების ზრდას, მისი უშიშროების განმტკიცებას".

ოუ რა მოაქვს ადამიანებისათვის იმპერიალისტურ აგრესიას, ი. კოგუტენკომ ყურმოკრულად კი არ იცის, არამედ ჯერ კიდევ ომიანობის დროს, როცა სულ მთლად ყმაწვილი იყო, ოცნებობდა თავისი წვლილი შეიტანა ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. მან არც კი იცის, თუ სად დაეღუბა მამა, რომელიც ომის პირველი დღეებიდანვე წავიდა ფრონტზე. მისი დაღუპვის ცნობა კოგუტენკოების ოჯახშა ევაკუაციაში, ურალზე მიიღო. და როდესაც მშობლიურ ნიკოლაევში დაბრუნდნენ, იურიმ დიდი ხვეწნა-მუდარით დაითანხმა დედა, ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ ლენინგრადის სასაზღვრო ჯარების სუვოროვის სასწავლებელში გაეგზავნა იგი.

შემდეგ დაამთავრა ალმა-ათის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის უმაღლესი სასაზღვრო-სამეთაურო სკოლა. პირველად დაიწყო მუშაობა სასაზღვრო საგუშაგოში კარელიაში, მიიღო პირველი თანამდებობა — საგუშაგოს უფროსის მოადგილე პოლკოვნიკილმი. 1972 წელს ი. კოგუტენკო აკადემიაში შევიდა, როცა უკვე გამოცდილი მესაზღვრე, სასაზღვრო საგუშაგოს უფროსი იყო. აკადემიის დიპლომმა განუმტკიცა სახელმწიფო საზღვრის აღმინშვნელ წითელ-მწვანე —ბოძებთან უშუალოდ მიღებული ცოდნა, და სადაც უნდა ემსახურა იური კოგუტენკოს, ბალტიისპირეთში, შორეულ აღმოსავლეთსა თუ ამიერკავკასიაში, — იგი ესწრაფვოდა ყოფილიყო ნამდვილი მესაზღვრე და ამასვე ასწავლიდა ხელქვეითებსაც.

სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტიდან: „პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, თითოეულისათვის იმ მზადყოფნის ჩანერგვა, რომ დაიცვას სოციალისტური სამშობლო, მოახმაროს ამას მთელი ძალები, და თუ საჭირო გახდა, სიცოცხლეც შეწიროს".

სასაზღვრო რაზმის უფროსის თანამდებობა მოითხოვს არა მარტო დიდ პროფესიონალიზმს, არამედ ადამიანებთან მუშაობის უნარს, ნამდვილი აღმზრდელის თვისებებს.

— საზღვარზე მთავარია ადამიანები, — თქვა ი. კოგუტენკომ. — მშობლები ორი წლით გვიგზავნიან თავიანთ შვილებს, და ჩვენ, ოფიცრებმა, დამრიგებლებმა, მარტო მათს ჯანმრთელობასა და კვებაზე როდი უნდა ვიზრუნოთ. ჩვენი, როგორც კომუნისტების, ამოცანაა აღვზარდოთ სამშობლოს იდეურად მტკიცე დამცველი.

სწორედ ასეთ ადამიანებს, რომელთაგან ბევრი თვითონვე აღზარდა, წარმოადგენს პოლკოვნიკი კოგუტენკო ყრილობაზე. იგი ერთნაირ პასუხისმგებლობას გრძნობს საკუთარი და იმათი საქმიანობისთვისაც, ვინც მის გვერდით დგას.

იგი მკაცრი და მომთხოვნია, მაგრამ აი, რას ამბობენ მის შესახებ გვერდით მყოფი ადამიანები. უფროსი ლეიტენანტი ფ. აზიავა: „მკაცრი და ამავე დროს ძალზე სამართლიანი, გულისხმიერი კაცია. მისი მთავარი საზრუნავია ხელქვეითები, რიგითი მებრძოლები". პოლკოვნიკი ვ. ლობოდა: „მომთხოვნია, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავისადმი. არ გაპატიებს საზღვარზე არავითარ დაუდევრობას, მაგრამ მუდამ უზარია წაახალისოს თავგამოჩენილნი. იგი შემთხვევით როდია იმათ შორის, ვინც ყრილობაზე დელეგატად გაგზავნა საზღვრისპირა აჭარამ". — მე მხოლოდ მეომრების წარმომადგენელი არა ვარ ყრილობაზე, — ამბობს იური კოგუტენკო. — ჩვენ საზღვრისპირეთის ყველა კომენსტის წარგზავნილები ვართ, რომლის თითოეული მცხოვრები პირველი დამცველისთანავე, საკუთარი გულის კარნახით მზად არის მხარში ამოგვიდგეს, გაიზიაროს ყოველგვარი სიძნელე.

საზღვრისპირა რაიონების ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდაც სასაზღვრო რაზმის უფროსის ერთ-ერთი ამოცანაა. და იგი მას წყვეტს ადგილობრივ კომუნისტებთან ერთად. და იმის, თუ რაოდენი წარმატებით ართმევენ მას თავს, მოწმობს მრავალი ჯილდო, რომლითაც აღნიშნულია საზღვრის დაცვაში ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, მესაზღვრეების ნორჩ მეგობართა რაზმეულების წარჩინებულთა საქმიანობა. და კიდევ — ნდობა, რომელიც ხალხმა გამოიჩინა პოლკოვნიკ კოგუტენკოს მიმართ. იგი აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრი, პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პიროსის წევრი, არჩეულია საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატად.

სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტიდან: „შეიარაღებულმა ძალებმა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ დიდი სიფხიზლე, მუდამ მზად იყვნენ სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ იმპერიალიზმის ხრიკების აღსაკვეთად, ყოველი აგრესორის გასანადგურებლად".

— ჩვენ საბრძოლო დიდებით მოსილი სამხედრო ფორმა გვაცვია, ლენინელმა ჩეკისტებმა საფუძველი ჩაუყარეს სასაზღვრო ჯარებს, — ნაზგასმით თქვა ი. კოგუტენკომ, — ეს ნიადაგ უნდა გვახსოვდეს. მთავარი თვისებები, რომლებიც უნდა ჰქონდეთ მესაზღვრეებს, რათა აღკვეთონ იმპერიალიზმის ხრიკები, კარგად არის ცნობილი — ეს არის სიმამაცე, შეუპოვრობა, ჩინებული გაწვრთნილობა. მე კიდევ დავუმატებდი — პატიოსნება და წესიერება. ყველაზე მეტად ამას ვაფასებ ადამიანებში. უამისოდ ვერც დიდ სიფხიზლეს, ვერც სიმამაცეს და ვერც შეუპოვრობას ვერ გამოავლენ, ვერ შეიძენ საჭირო ჩვევებს.

ს. ᲑᲔᲚᲬᲙᲘ.
Ვ. ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘ.
საქინფორმის კორ.

სურათზე: ბათუმის წითელდროშოვანი სასაზღვრო რაზმის უფროსი, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი იური ზაქარიას ძე კოგუტენკო.

ნ. ᲐᲜᲡᲚᲐᲢᲘᲡᲘᲔᲕᲘᲡ ფოტო
(საქინფორმის ფოტოკორონიკა).

პარტიის XXVII ყრილობას — • ჩვენი მარჯვა და შემართება!

შაბათობა გვიხმობს

ᲥᲣᲘᲗᲣᲚᲘ. (საკ. კორ.) რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანი — ლენინის სახელობის შახტის (დირექტორი — გ. წაქაძე) კოლექტივი გულმოდგინედ ემზადება სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილი საკავშირო კომუნისტური შაბათობისათვის. საექსპლოატაციო უბნებში, ცვლებში, ბრიგადებში გადაწყვიტეს ამ დღეს იმუშაონ დიდმწარმოებლურად, ამოიღონ მხოლოდ მაღალხარისხოვანი ქვანახშირი.

შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 850-მდე მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი. 500 კაცი უშუალოდ სანგრეში იშრომებს და ამ დღეს 1700 ტონა საკოქსე ქვანახშირს გამოუშვებს. შახტის გამყვანები კისრულობენ გაიყვანონ არანაკლები 10 გრძივი მეტრი გვირაბი. შაბათობას სამთოელები 23 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ და გამომუშავებულ ხელფასს — 5000 მანეთს მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ.

ახლა შახტში დიდი საორგანიზაციო ხასიათის ღონისძიებები ხორციელდება. უკვე შეიქმნა შაბათობის მოსამზადებელი და მომწყობი შტაბი. იგი თითოეულ მეშახტეს ზუსტ და კონკრეტულ ამოცანას უსახავს, ეძებს რესურსებს შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად.



ᲕᲐᲮᲢᲨᲘ ᲓᲒᲐᲜᲐᲜ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ „საქარამადნეულის" საწარმოო გაერთიანების ფილიალებმა ვადამდე შეასრულეს მეთორმეტე ხუთწლედის დავალებანი, რეალიზებულია 84222 ათასი მანეთის ზეგეგმითი საშენი მასალები. ამ მარაგის მეოხებით მათ შეძლეს რიტმულად დაიწყოთ ახალი, 1986 წელი. ყოველდღიურად ღორღით, ქვიშით, ხრეშით დატვირთული მანქანები მიეშურებიან რესპუბლიკის სამშენებლო მოედნებისაკენ. განვლილი ხუთწლედის მარტო დამამთავრებელ წელს მათ 33367 ათასი კუბური მეტრი არამადნეული საშენი მასალა მიიღეს.

კიდევ უფრო მეტი აქვთ დასახული მიმდინარე წლისათვის.

დადგენენ რა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, გაერთიანების მშრომელები კიდევ უფრო დამჯერებელ მაჩვენებლებს აღწევენ. სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა მოწინავე ელექტრომეგრაგნელი შალვა ალიევი. საწარმოში ოთხი წლის მუშაობის მანძილზე იგი სრულყოფილად დაეუფლა პროფესიას და ახლა დიდი გადაგზარბებით ასრულებს ცვლის დავალებას. ახალგაზრდა მუშამ თავდადებული შრომით მოიპოვა კოლექტივის პატივისცემა. აქ იგი კომუნისტი გახდა, საქალაქო კომკავშირული და პარტიული კონფერენციების დელეგატად აირჩიეს.

სურათზე: მოწინავე ელექტრომეგრაგნელი, კომუნისტი შალვა ალიევი (ცენტრში) გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა ელექტრიკოსებს გია მამედოვსა და ზელმბან ბადელოვს.

Შ. ᲐᲠᲘᲐᲜᲘᲫᲘᲡ ფოტო.
(საქინფორმის ფოტოკორონიკა).

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲧᲠᲘᲚᲝᲒᲝ დოკუმენტების განხილვის პროცესში რუსთავ

გაანვიხილავთ პარტიის ყრილობის წინა დოკუმენტებს

სკკპ XXVII ყრილობის შესაბამ

ტექნიკური დონის პარამეტრები

სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში აღნიშნულია: „პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრში მუდმივ იქნება პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ყოველნაირად ამაღლება. საბჭოთა პროდუქცია უნდა განასახიერებდეს მეცნიერული აზროვნების უკანასკნელ მიღწევებს, - შეესაბამებოდეს ყველაზე მაღალ ტექნიკურ-ეკონომიკურ და სამომხმარებლო მოთხოვნებს, იყოს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე...“

უფრო სრულად გამოვიყენოთ, — აღნიშნულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროგრამა, — მანქანათმშენებლობის პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების შესაძლებლობანი, რისთვისაც შემდგომ განვითაროთ და განვამტკიცოთ მანქანათმშენებლობის დარგების ინტეგრაცია, წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკის მრეწველობაში. საწარმოებში შემუშავდა და დანერგა პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემები, რამაც მრავალ მათგანს მისცა საშუალება გაეიდიდებინათ დიდი მუშაობაა გაწეული პროდუქციის ხარისხის სისტემური, კომპლექსური მართვის დანერგვისა და წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის. მანქანათმშენებელ საწარმოებში სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიეკუთვნა ელექტროძრავებს, შესადუღებელ აგრეგატებს, ელექტროშტამპელერებს, ელექტროკარებს, ლითონსახერელ ჩარხებს და სხვა. ნიშანდობლივია, რომ ხარისხისნიშნიანი პროდუქციის დიდი ნაწილი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელია. უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდით რესპუბლიკის მანქანათმშენებელ საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდმა 3,5 მილიონ მანეთს მიაღწია.

სამწუხაროდ, ზოგიერთი საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია ვერ უპასუხებს დროის მოთხოვნებს. ასე, მაგალითად, „ქუთაისის საავტომობილო ქარხანა“ საწარმოო გაერთიანებაში ხშირად ირღვევა ტექნოლოგიური დისციპლინა, საწარმოო დეფექტების გამო ცდება საექსპლოატაციოდ გადაცემული ავტომობილების გარკვეული ნაწილი. რეკლამაციების აბსოლუტურად დიდი ნაწილი მოდის გადაცემათა ცვლის კოლოფზე. რესპუბლიკის ზოგიერთმა მანქანათმშენებელმა საწარმომ ვერ შეასრულა საექსპორტო მიწოდების ძირითადი გეგმები, ზოგიერთი კი გეგმების კორექტირებით ცდილობს მიჩქმალოს გადასაჭრელი პრობლემები. მაგალითად, თბილისის „ჩარხმშენებელის“ საწარმოო გაერთიანების შესრულების ვადები კვარტალიდან კვარტალში გადაადგა.

გასული წლის მესამე კვარტალში საექსპორტო 1863დ მოდელის 18 ჩარხიდან ექვსი დეფექტების გასასწორებლად დაუბრუნდა საწარმოს. დეფექტის ძირითადი მიზეზია დეტალების დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა. საქონლის ხარისხის ინსპექციამ გააფრთხილა ქარხნის ადმინისტრაცია, რომ თუ არ გაუმჯობესდება ჩარხების ხარისხი ქარხანას აეკრძალება ჩარხების ექსპორტი. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ 1863დ მოდელის ჩარხის ტექნიკური დონე მთელი რიგი პარამეტრების მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების ანალოგიური ჩარხისას.

ასევე ითქმის თბილისის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხნის პროდუქციაზეც. მესამე კვარტალში დანადგარების ასდ3-5000 გტ1 ტიპის 14 აგრეგატიდან ექვსი დეფექტების აღმოსაფხვრელად დაუბრუნდა. რკინიგზით ტრანსპორტირების დროს არცთუ იშვიათად, ძარცვავენ ამ აგრეგატებს, ხსნიან აკუმულატორებს, იღებენ ინსტრუმენტებს და სათადარიგო ნაწილებს. ამიტომ გასაგზავნი შესადუღებელი აგრეგატი დაუკომპლექტებელი აღმოჩნდება ხოლმე და შეუძლებელია მათი გამოყენება. მარშანდელი წლის ივლისში, ტრანსპორტირების პროცესში, შესადუღებელ აპარატებს 46 აკუმულატორი მოხსნეს. ამის გამო თბილისის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხნის ხელმძღვანელობა იძულებული მივლინებით გაგზავნოს ბრიგადები და აგრეგატები საწარმოს ხარჯზე ადგილზე დაკომპლექტოს. ეს დიდ ზარალს აყენებს საწარმოს და სახელმწიფოს. რკინიგზის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს პროდუქციის დაცვა, შენახვა და დანიშნულ ადგილზე მისი უდეფექტოდ ჩატანა.

ხშირია შემთხვევა, როცა საექსპორტოდ იგზავნება ისეთი სახის ელექტროშტამპელერები, რომლებიც ვერ უპასუხებენ სტანდარტების მოთხოვნებს. ასევე უხარისხოა საექსპორტოდ გასაგზავნი ამწის ელექტროძრავები, საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტები, რომელთა დიდი ნაწილი უბრუნდება საწარმოს დეფექტების აღმოსაფხვრელად. საექსპორტო საქონლის ნაწილი არ შეესაბამება შემკვეთთა მოთხოვნებს, აქვს დეფექტები, კონსტრუქციული ხარვეზები.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საქმის წინსვლის უმნიშვნელოვანესი ბერკეტია პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემები, რომელთა საფუძველი სტანდარტიზაცია გახლავთ. ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა წარმოების ხელმძღვანელებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური და მეთოდური ინსტრუმენტია, რომლის საშუალებით მათ შეუძლიათ საწარმოს მართვის პროცესის სრულყოფა, ეფექტიანობის გაზრდა.

მიუხედავად ამისა, კომპლექსური სისტემების დანერგვა ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ზოგიერთ საწარმოში მათ ვერ მოახდინეს გავლენა პროდუქციის ხარისხზე.

ხარისხი მარტო სპეციალისტთა ვიწრო წრის საზრუნავი როდია. მისი გაუმჯობესებისათვის უნდა იბრძოდეს პროდუქციის წარმოების პროცესში მონაწილე ყველა მუშაკი. ამასთან, პრობლემების სირთულე მოითხოვს დიდ პროფესიულ შრომას სტანდარტიზაციისათვის. ხარისხის გაუმჯობესების საკითხთა განხილვა უნდა ხდებოდეს მომზმარებლის მოთხოვნათა მთლიანი გათვალისწინებით.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ჯერ კიდევ ვერ წარმოიწია წინა პლანზე ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანალიზის, გაზომვისა და რეგულირების საკითხმა. არ ხდება დანახარჯების ელემენტების განცალკევება, რის გამოც შეუძლებელია მათი განგარიშება. ჩვენი საწარმოები აღრიცხავენ მხოლოდ წუნისაგან მიღებული ზარალისა და საგარანტიო მომსახურებისათვის გაწეულ დანახარჯებს, თანაც — არაობიექტურად. საკითხი უნდა დაისვას და გადაწყდეს უფრო ფართოდ: საჭიროა არა წუნისაგან მიღებული ზარალის, არამედ წარმოების პირველ ეტაპზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვა და ანალიზი, რადგან სწორედ ამ ეტაპზე იძლევა ყველაზე დიდ ეფექტს კაპიტალური დაბანდება.

უდეფექტო მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმით და, უპირველესად, ბრიგადული სამეურნეო ანგარიშით მუშაობას. ასეთ პირობებში პროფესიაში საუკეთესო მუშაკის გამოცდილება ბრიგადის საერთო კუთვნილება ხდება.

სამინისტროებმა, საწარმოთა ხელმძღვანელებმა ისეთნაირად უნდა მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება, რომ მატერიალური და მორალური სტიმულირება დაუქვემდებარონ მუშაობის მაღალი ხარისხის მიღწევას. ყველა საწარმოში უნდა მოწესრიგდეს სტიმულირების ფორმები და მეთოდები დიდნაყოფიერი და კეთილსინდისიერი შრომისათვის.

პროდუქციის ხარისხის და საერთოდ მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემის გადაჭრას თვისებრივად ახალი მიდგომა სჭირდება. ამიტომ აუცილებელია, რომ სამინისტროებმა, უწყებებმა და საწარმოებმა ერულყონ თავიანთი ორგანიზაციული, აღმზრდელობითი მუშაობა. საჭიროა გაძლიერდეს მრომითი კოლექტივის თითოეული წევრის პერსონალური პასუხისმგებლობა და პირადი დაინტერესება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ა. ჩაჩიბაია,

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექტორის გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ბოგიერთი მოსაგრება და წინადადება

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მესამე პროგრამის ახლანდელი რედაქცია, — ნათქვამია ამ დოკუმენტის პროექტში, — სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოვლმხრივი სრულყოფის პროგრამა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საფუძველზე კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის პროგრამაა. ეს არის მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის პროგრამა“.

ჩვენი ქვეყანა გეგმიანი სახელმწიფოა, ხოლო სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედი ეკონომიკური კანონებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების კანონი; რომელიც იმთავითვე ამყარებს სწორ (გეგმაზომიერ) თანაფარდობას ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების სფეროში. ამდენად, გეგმაზომიერი განვითარება ამავე დროს გულისხმობს გეგმაზომიერ სრულყოფასაც. ამიტომ სოციალიზმის სრულყოფის გეგმაზომიერების ხაზგასმით გამოკვეთა პარტიის სამოქმედო პროგრამაში აუცილებლობად აღარ მიგვაჩნია.

სოციალისტური საზოგადოებისათვის უცხო და მიუღებელია განვითარება-სრულყოფის ცალმხრივობა, ტენდენციურობა, რადგან გეგმაზომიერება თავისთავად გულისხმობს ყოვლმხრივობას (ომშლელ-ქსურობას). ამიტომ სოციალიზმის სრულყოფასთან არც სიტყვა ყოველმხრივის ხმარება აუცილებელი.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ვთვლით, რომ საბჭოთა საზოგადოების განვითარების პერსპექტივები, მისი საბოლოო მიზნის მიღწევის გზები და საშუალებანი პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში ჩამოყალიბდეს ასეთი ფორმულირებით: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მესამე პროგრამის ახლანდელი რედაქცია არის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შემდგომი დაჩქარების საფუძველზე სოციალიზმის სრულყოფისა და კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლის პროგრამა. ეს არის მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის პროგრამა“.

პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის პირველი ნაწილის მეორე თავის ბოლოსწინა აბზაცში, რომელშიც მოცემულია მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეპოქის ხასიათისა და დედაარსის მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, მითითებულია, რომ „ეს არის კაპიტალიზმიდან სოციალიზმსა და კომუნიზმზე გადასვლის, ორი მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ისტორიული შეჯიბრების ეპოქა, სოციალისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების, კოლონიალიზმის მსხვრევის ეპოქა, იმპერიალიზმის, მისი აგრესიისა და ჩაგვრის პოლიტიკის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის საზოგადოებრივი განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალების — მსოფლიო სოციალიზმის, მუშათა და კომუნისტური მოძრაობის, განთავისუფლებულ სახელმწიფოთა ხალხების, მასობრივი დემოკრატიული მოძრაობის და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლის ერთიანი ფრონტის ბრძოლის ბრძოლის ეპოქა“.

ეპოქალური ხასიათისა და ძირითადი ტენდენციების ასეთ ფორმულირებას, ეს ეპოქა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლის ეპოქად ან „სოციალიზმის ბანაკი“. ... ...

საქართველო

ფაქტები • მოვლენები

● ინდოეთი

ცდილობენ ვითარების დესტაბილიზაციას

სეპარატისტთა შეიარაღებული გამოხდომები პენჯაბის შტატში

დელი. როგორც ინდოეთის პრესა მოწმობს, კვლავ გამწვავდა ვითარება პენჯაბის შტატში. ამრიტსარის, ფიროზპურისა და გურდასპურის დასახლებული პუნქტების რაიონებში სიქჰმა სეპარატისტებმა კვლავ მოაწყვეს შეიარაღებული გამოხდომები, რის შედეგადაც შვიდი კაცი დაიღუპა და 15 დაშავდა. ქალაქ. ჩანდიგარჰში ტერორისტები თავს დაესხნენ პოლიციის პატრულს და სროლა აუტეხეს წესრიგის დაცვის ძალებს. ბოლო ხანს ექსტრემისტთა ბანდიტური გამოხდომების მკვეთრ გააქტიურებასთან დაკავშირებით ხელისუფლები იძულებული გახდნენ, 'გაეკეთებინათ ბრძანება პენჯაბის მთელი რიგი რაიონების სასწავლებლებში მეცადინეობის დროებითი შეწყვეტის თაობაზე.

ინდოეთის კომპარტიის პენჯაბის შტატის ორგანიზაციამ დაგმო სიქჰ გამთიშველთა ტერორისტული საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ინდოელი ხალხის ერთიანობისა და რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის მოშლას. ინდოეთის კომპარტიის აქ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ექსტრემისტთა დაჯგუფებების მეთაურები პაკისტანის მხარდაჭერით ცდილობენ პენჯაბში ვითარების დესტაბილიზაციას, მცხოვრებლების დაშინებას, ამ შტატში მშვიდობისა და წესრიგის აღდგენის პროცესის ჩაშლას. ამძაფრებენ რა ვითარებას, სეპარატისტები და მათი საზღვარგარეთელი მფარველები ცდილობენ დააქუცმაცონ ინდოეთი, ჩამოაშორონ მას პენჯაბი და შექმნან მის საფუძველზე „ხალისტანის“ მარიონეტული სახელმწიფო. ინდოეთის კომპარტიის ორგანიზაციამ მოუწოდა შტატის მოსახლეობას, ინდოელი ხალხის ფართო ფენებს, მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიონ რეაქციის ხრიკებს, დაიცვან რესპუბლიკის თავისუფლება და სუვერენიტეტი.

სეპარატისტთა მოქმედების გაძლიერებასთან დაკავშირებით პენჯაბის მთავრობამ ს. ს. ბარნალმა უბრძანა უშიშროების ძალებს, გააძლიერონ წესრიგის დაცვის ღონისძიებები და წინააღუდგნენ ექსტრემისტთა ზრახვებს.

თანამშრომლობის კანონით

● ნიკარაგუა

საბჭოთა კავშირი დიდ დახმარებას უწევს რევოლუციურ ნიკარაგუას ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებაში. სიღარიბე, ავადმყოფობა, ხშირი სიკვდილიანობა დაუტოვა მემკვიდრეობად სომოსას რეჟიმმა სანდინისტურ რევოლუციას.

ხელისუფლების სათავეში სახალხო მთავრობის ჩადგომის შემდეგ რესპუბლიკაში დაიწყო ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის შექმნა. მიბღეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა. სსრ კავშირიდან ნიკარაგუაში იგზავნება მედიკამენტები, სამედიცინო მოწყობილობა, საბჭოთა ექიმები ახალგაზრდა რესპუბლიკის ბევრ კუთხეში მუშაობენ. უკვე მესამე წელიწადია ჩინანდეგში მოქმედებს საბჭოთა ჰოსპიტალი. მისმა პერსონალმა ათიათასობით ნიკარაგუელი განკურნა.

სურათზე: ექიმი ოკულისტი ვალერი ჩერნოუსენკო.

„ამერიკული დემოკრატია“ მოქმედებს

მშვიდობის მომხრეები — საფრთხეში

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთ განზრახული აქვთ ანგარიში გაუსწორონ ამერიკელ მშვიდობის მომხრეთა კიდევ ერთ ჯგუფს, რომლებმაც გაბედეს და ხმა აიმაღლეს რეიგანის ადმინისტრაციის გამალებული შეიარაღების დასაჩქარებლად გამიზნული კურსის წინააღმდეგ.

როდ-აილენდის შტატის ქალაქ უესტ-კინგტონის საოლქო სასამართლოს სამშაბათს ოფიციალურად წაუყენა „ადრძო საკუთრების საზღვრების დარღვევისა“ და „ხელისუფალთა უპატივცემულობის“ ბრალდებანი ომისსაწინააღმდეგო დემონსტრაციის 10 მონაწილეს, რომელიც 28 დეკემბერს გაიმართა როდ-აილენდის შტატის ქალაქ კუონსეტ-პოინტში სამხედრო კორპორაციის „ჯენერალ დაინამიქსის“ ქარხნის ჭიშკართან.

დაახლოებით 100 კაცი შეიკრიბა ამ დღეს საწარმოსთან, სადაც „ტრაიდენტ“ ატომური წყალქვეშა ნავების კომპონენტებს აწარმოებენ, რათა გადაჭრით დაეგმო ამერიკის მხედრიონის გეგმები, გლობალური სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებას რომ ისახავენ მიზნად. გამალებული შეიარაღება, აღნიშნული იყო დემონსტრაციის მონაწილეთა მიერ გავრცელებულ მოწოდებებში, მთელი კაცობრიობის მოსპობის საფრთხეს შეიცავს და ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ამის პასუხად პოლიციელები დაერივნენ მანიფესტანტებს და 9 მათგანი დააპატიმრეს. მეათე მშვიდობის მომხრეს ხელბორკილი დაადეს მას შემდეგ, რაც ანგარიშსწორებით აღშფოთებულმა მანიფესტანტებმა პოლიციის უბანს ნააღმდეგო პროტესტის ნიშნად, ამერიკის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა რომ განიცდის. ახლა ხელისუფალნი აპირებენ დიდი ხნით უკრან თავი დილეგებში „მეამბოხეებს“.

სასამართლოში გამოსვლისას მანიფესტაციის მონაწილეებმა უარყვეს მათთვის წაყენებული ნაყალბევი ბრალდებანი და ხაზი გაუსვეს, რომ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ და მხოლოდ იმისათვის იბრძოდნენ, რომ ჩვენი პლანეტის ზეცა ყოველთვის უღრუბლო იყოს. მაგრამ ამერიკული თემიდის მსახურებს წარბი არ შეუხრიათ: მათ დაადგინეს, რომ მშვიდობისათვის მებრძოლთა სამსჯავრო 27 იანვარს დაიწყება.

მშვიდობის მომხრეთა დაპატიმრება და მათთან სასამართლო ანგარიშსწორება ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა, განაცხადა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ომისსაწინააღმდეგო მოძრაობის „პლაუშერსის“ წარმომადგენელმა ჯოის კიტსბერგმა. ყველაზე უფრო მიახლოებით გამოანგარიშებითაც კი, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეერთებულ შტატებში განსასჯელთა სკამზე ჯდომა მოუწია სულ ცოტა 60 ომის მოწინააღმდეგე აქტივისტს. მაგრამ ჩვენ ამ დღი გვაქვს, რომ ამჟამად საპყრობილეებში გამომწყვდეული ამერიკელი მშვიდობმოსათვის მებრძოლების მოდელაწეობა ფუჭად არ ჩაივლის. მათ ადგილს დემონსტრანტთა კოლონებში ასობით სხვა პატიოსანი ამერიკელი დაიკავებს.

„ტრაიდენტ“ ატომური წყალქვეშა ნავების ბაზა

● ბაზრ

ანტიბირთვული დემონსტრაცია

ბონი. ამერიკის შეერთებული შტატები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე „პერშინგ-2“ 108 ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტის განლაგების დამთავრებისთანავე შეუდგა პირველი დარტყმის სხვა ბირთვული იარაღის — ფრთოსანი რაკეტების განლაგებას. როგორც აღდის ტელეგადაცემათა პროგრამის წამყვანმა თქვა, ქალაქ ჰასელბახში ჩავიდა ტრანსპორტი, რომელმაც იქ ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩაიტანა პირველი ფრთოსანი რაკეტა. მალე მას გადაატანენ ამერიკის ჰანის სამხედრო ბაზაში, რომელიც ამ ქალაქის მახლობლად მდებარეობს. ჰასელბახში, ხაზგასმით აღნიშნა აღდის წამყვანმა, ამასთან დაკავშირებით გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამერიკული ბირთვული იარაღის განლაგების, ევროპაში ბირთვული შეიარაღების ესკალაციის წინააღმდეგ.

● ლიბანი

ვაშინგტონის მორიგი „რჩევა - დარიგება“

ბეირუთი. სამხრეთ ლიბანიდან მოსული ცნობებით, ისრაელის მხედრიონს გადაეყავს დამხმარე ჯარები ქვეყნის ოკუპირებულ ნაწილში, რომელიც თელავივმა „უსაფრთხოების სარტყლად“ გამოაცხადა. დამატებითი სატანკო ქვეგანაყოფები განალაგეს ბექაას ველის სამხრეთ მისადგომებთან.

აგრესორის არტილერია დატანჯვა კვლავ უშენდნენ ცივსტს ოკუპირებული ზონის ახლომახლო ვრცელ რაიონებს. ცივსტლის ზოლში აღმოჩნდა ნაბათიის, ხასბაის რაიონებისა და ბექაას ველის სამხრეთ ნაწილის მთელი რიგი სოფლები და დასახლებული პუნქტები. არის მსხვერპლი და ზარალი. სოფელ ბეით-იახუნში ოკუპანტებმა პროვოკაციული მიზნით ცივსტი დაუშინეს ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალების საგუშაგოს.

ისრაელის სამხედრო კატარეები პატრულობენ ლიბანის ზღვის სანაპიროს ტირსა და ზაპრანს შორის უბანზე. ლიბანის რამდენიმე სავაჭრო გემი, რომლებიც ტირში მიემართებოდნენ, დააკავეს და საგულდაგულოდ გიჩხრიკეს, ისრაელის თვითმფრინავები დასტრიალებენ ქვეყნის მთელ ტერიტორიას და ბეირუთის თავზე სისტემატურად დაფრინავენ ზებგერითი სიჩქარით.

კვლავ გამწვავდა ვითარება საიდის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, სადაც ისრაელის დაკირავებულთა ფორმირებებმა, რომლებიც შედიან ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ლიბანის არმიაში“, პროვოკაციულად გამოიწვიეს გაფრთიებული შეტაკებანი ქალაქის მისადგომების დამცველი პატრიოტული ძალების რაზმებთან.

გაზეთ „ალ-ჯუმჰურიის“ ცნობებით, ამერიკის ადმინისტრაცია ზეგავლენას ახდენს ლიბანზე, რათა უარი თქვენოს „მოთხოვნაზე მოიწვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა ქვეყნის სამხრეთში არსებული ვითარების განსახილველად. ამერიკის შეერთებული შტატები, წერს გაზეთი, ლიბანის წარმომადგენლებს „ურჩევს“ უკან გამოიტანონ საჩივარი ლიბანის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ისრაელის მოქმედების შესახებ. ადგილობრივ პოლიტიკურ ორგანოებში აღნიშნავენ, რომ ვაშინგტონის ამგვარი „რჩევა-დარიგება“ მოულოდნელი არ არის, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები მუდამ თელ-ავივს ემხრობა, იცავს თავის პარტნიორს „სტრატეგიულ ალიანსში“ და აქეზებს მას არაბთა წინააღმდეგ ახალი დანაშაულის ჩადენისათვის.

ამერიკა-ისრაელის შანტაჟი ლიბანელი ხალხის ნამდვილი პასუხია ოკუპანტთა წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა, რომელიც კვლავ გრძელდება. ბოლო დღე-ღამის განმავლობაში პარტიზანებმა არაერთხელ მიიტანეს ეერში ინტერვენტებისა და მათი მარიონეტების პოზიციებზე, საგუშაგოებსა და პატრულებზე ხასბაისა და ბინტ-ჯბეილის რაიონებში.

● ბაიტი

რეპრესიული ღონისძიება

● პაპუანა. დიუვალიეს დიქტატორულმა რეჟიმმა ბრძანება გასცა ჰაიტის ყველა სასწავლო ცენტრსა და სკოლაში მეცადინეობის შეწყვეტის შესახებ. ეს რეპრესიული ღონისძიება მიიღეს მას შემდეგ, რაც კარიბის ზღვის ამ კუნძულოვანი სახელმწიფოს მეტწილ ქალაქებში მოსწავლეებ ახალგაზრდობამ მოაწყო გაფიცვები და საპროტესტო მასობრივი მანიფესტაციები ხელისუფალთა ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ.

● ლიბანი

ლიბიის ამბების გამო

● დისკრიმინაციულ ღონისძიებათა კიდევ ერთი სერია.
● კონსულტაციები მოკავშირეებთან.
● ინგლისი უარს ამბობს.
● ლიბიაში მყოფ ამერიკელთა პროტესტი.

ვაშინგტონი. თეთრმა სახლმა **ოთხშაბათს გამოაცხადა, რომ განხორციელდა ლიბიის საწინააღმდეგო დისკრიმინაციული ღონისძიებათა კიდევ ერთი სერია.** პრეზიდენტმა რეიგანმა განაცხადა, ამერიკელთა ბანკებს, ამერიკელ ტელეკომპანიებს, ამერიკელ ტანსაცმლეულ ფირმებს, ამერიკელ ნავთობ-ფირმ

მოვალე ხარ, იყო მოქალაქე

ქართველი სტუდენტები ბამზე

საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფი საკონცერტო პროგრამით ესტუმრა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლებს.

— ბამზე მოგზაურობა თავისებური პასუხი იყო იქ მომუშავე ჩვენს თანამემამულეთა შესახებ გადაცემაზე, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ინსტიტუტის მასწავლებელმა ტატიანა ბუხბინდერმა, — მშენებლები გულდაწყვეტილი იყვნენ, რომ საშუალება არ ჰქონდათ მოესმინათ საყვარელი მელოდიები, ენახათ ქართული კინოფილმები. და აი, მოხალისეთა ჯგუფმა, რომელშიც ჩემთან ერთად შედიოდნენ კონცერტმაისტერი ი. ფარცხალაძე და მუსიკალური კომედიისა და პანტომიმის ფაკულტეტების რვა სტუდენტი, გადავწყვეტეთ იკამიაში გავმგზავრებულიყავით. თან წავიღეთ საჭირო რეკვიზიტი და ექვსი ფილმი — კინოსარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო ნამუშევრები. კლუბში გამართულ კონცერტში სტუდენტებმა ფართო პროფილის სპეციალისტებად გამოავლინეს თავი. მათ პროგრამაში იყო სიმღერები და ცეკვები, პანტომიმის ნომრები, არიები ოპერეტებიდან და ლექსები. კონცერტის შემდეგ კი ვუჩვენებდით კინოფილმებს. როცა გიგიგს, რომ იკამიაში, სადაც ჩვენი რესპუბლიკის დაახლოებით 400 წარმომადგენელი შრომობს, „მსახიობები“ ჩამოვიდნენ, ჩვენს საყურებლად 60 კილომეტრით დაშორებული დაბიდანაც კი მოვიდნენ მაყურებლები. მაგრამ ჩვენთვის მთავარი იყო არა ტაში, არა სპეციალური სიგელი, რომლითაც მაგისტრალის მშენებლებმა დაგვჯილდოვეს, არამედ იმ საოცარი ადამიანების გაცნობა, რომლებიც მშობლიური სახლიდან დაშორებულნი ღირსეულად იხდიან თავიანთ მოვალეობას.

ინსტიტუტში გაიმართა სტუდენტებისა და მასწავლებლების შეხვედრა მოგზაურობის მონაწილეებთან, მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე ყოფნისას მიიღეს მოქალაქეობრივი მამაცობის ჭეშმარიტი გაკვეთილი. პროექტორმა სასწავლო ნაწილში პროფესორმა ვ. კიკნაძემ რექტორატის სახელით ამ პატარა კოლექტივის თითოეულ წევრს მადლობა გამოუცხადა და ინსტიტუტის სატიტო სიგელები გადასცა.

— ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, — თქვა მან, — მუდამ რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების მოწინავე მიჯნებზე იყვნენ. ამჟამადაც მათ იკისრეს შეფობა, რათა გამალონ სოფლად მხატვრული თვითმოქმედება. ისინი გამოდიან საწარმოების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მშრომელების, საბჭოთა არმიის მებრძოლების, უამრელების წინაშე.

ჩვენი კონსულტაცია

საპენსიო შეღავათები -ქალებს

რედაქციაში მრავალი შეკითხვა შემოდის სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე. მკითხველებს აინტერესებთ, რა შეღავათებით სარგებლობენ პენსიაზე გასვლის დროს ქალები, მრავალშვილიანი დედები, ომში დაღუპულთა მშობლები, უსინათლო მუშა-მოსამსახურეები, ქალები, რომლებიც დაინვალიდდნენ დიდ სამამულო ომში, ტრაქტორისტი ქალები ხანდაზმულობის პენსიის დანიშვნის დროს, რა შემთხვევაში მოიპოვებს ქალი მარჩენალი მეუღლის გარდაცვალების გამო პენსიის მიღების უფლებას, დედებისათვის ყოველთვიურ დახმარებათა დანიშვნის საკითხები და სხვა.

აღნიშნულ ყველა საკითხზე პასუხის გაცემა და განმარტება ვთხოვეთ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საორგანიზაციო-მეთოდიკური მუშაობისა და ინფორმაციის სამმართველოს უფროსს ირინე ღლონტს.

ვბეჭდავთ მის კონსულტაციას.

„ჩემი შვილი, სანამ ომში წავიდოდა, მოსწავლე იყო. მოხალისედ წავიდა და აღარ დაბრუნებულა. 1944 წლის აპრილში ცნობა მივიღეთ, დაღუპულა... მას შემდეგ პენსიას ვთხოულობ. სულ უარით მიპასუხებენ: იმ შვილის ქმაყოფაზე უნდა ყოფილიყავი, რომელიც ფრონტზე დაგეღუპაო. ქმაყოფაზე აბა როგორ ვიქნებოდი, როცა ჩემი შვილი თვითონ მოსწავლე იყო და შესანახი. ომი რომ არა, ისეთი ვაჟკაცი დადგებოდა, დედას არ გაუჭირდებოდა...

მეზობლებმა მირჩიეს, სამინისტროს მისწერეო. თუ რაიმე კანონია, აგრეც შემოგვლებით, ნუ მომაკლებთ „უარიანებას“.

ეს იყო განცხადება, რომელიც მე, პენსიებისა და დახმარების განყოფილების ახალბედა ინსპექტორს, 1968 წლის გაზაფხულზე დამეწერა შესასრულებლად და რომელმაც ისე დამაფიქრა, რომ დღემდე სიტყვასიტყვით დამახსოვდა.

ხელი მოკან,ლებდა პასუხის დაწერის დროს, მაგრამ იძულებული ვიყავი სათუთად მეცნობებია ომში დაღუპული მეომრის დედის — მ. ჩადუნელისათვის, რომ იგი იმჯერად არსებული კანონით ნამდვილად ვერ მოიპოვებდა მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღების უფლებას.

...კიდევ ბევრი მსგავსი მშობლის საკეთილდღეოდ იქნა მიღებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ფრონტზე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“, რომლის შესაბამისადაც დაიხვეწა, უფრო ჰუმანური გახდა 1972 წლის 3 აგვისტოს № 590 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების მე-60 პუნქტი.

1975 წლის 1 მაისიდან აღნიშნული პუნქტის პირველ აბზაცს დაემატა შემდეგი შინაარსის სიტყვები: „მშობლებს, რომელთა შვილებიც დაღუპნენ ფრონტზე, მარჩენლის გარდაცვალების გამო პენსია ენიშნებათ მიუხედავად იმისა, იმყოფებოდნენ თუ არა დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ქმაყოფაზე“.

და გაიგზავნა ფრონტზე დაღუპულ მეომართა დედებისათვის საპასუხო სტრიქონები. პატივცემულ მ. ჩადუნელთან ერთად ათასობით მშობელს დაენიშნა პენსია მარჩენლის გარდაცვალების გამო.

არაერთი შეღავათია დაწესებული საბჭოთა ქალებისათვის მოქმედი საპენსიო კანონმდებლობით. დღისათვის ყველა ქალს ასაკის პენსიის მიღების უფლება აქვს 55 წლის მიღწევის შემდეგ, არანაკლებ 20 წლის მუშაობის სტაჟით. მაგრამ მათ შორის ქალებს, რომლებმაც შობეს და 8 წლამდე აღზარდეს 5 ან მეტი შვილი, ასაკის პენსია ენიშნებათ დანარჩენ ქალებთან შედარებით 5 წლით ადრე და 5 წლით ნაკლები მუშაობის სტაჟით, ამ შემთხვევაში ღვიძლი შვილების თანაბარად ითვლებიან ის ბავშვებიც, რომლებიც უშუალოდ სამშობიარო სახლიდან იშვილეს.

განსაკუთრებით შეღავათიანია უსინათლო მუშა-მოსამსახურე ქალების საპენსიო უზრუნველყოფა. მათ ასაკის პენსია ენიშნებათ 40 წლის შესრულების შემდეგ, თუ მაინც ნამუშევარი აქვთ იმ თანამდებობებსა და პროფესიებზე, რომლებიც აღნიშნულია № 1 სიაში.

ქალებს, რომლებიც დაინვალიდნენ საბჭოთა კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობით, კონტუზიითა და დასახიჩრებით, ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების გამო, ასაკის პენსია ენიშნებათ 50 წლის მიღწევის შემდეგ, თუ აქვთ არანაკლებ 20 წლის მუშაობის სტაჟი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1967 წლის 7 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად, თუ 50 წელი შეუსრულდათ და 20 წლის მუშაობის სტაჟი აქვთ, ასაკის პენსიის მიღების უფლება მოიპოვა აგრეთვე საყვიარო მრეწველობის საწარმოთა მუშა ქალების გარკვეულმა კატეგორიამ. ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 7 მარტის დადგენილებით შემცირდა ასაკის პენსიის მისაღებად საჭირო წლები მექანიზატორი ქალებისათვის.

1975 წლის 1 აპრილიდან აღნიშნული შეღავათით სარგებლობენ ქალები, რომლებიც მუშაობენ მექანიკენ-ტრაქტორისტებად სოფლის მეურნეობაში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, აგრეთვე ქალები, რომლებიც მუშაობენ მექანიკენებად სამშენებლო, სავალო და დასატვირთ-გადმოსატვირთავ მანქანაზე 15 წლის განმავლობაში.

ასეთივე შეღავათით 50 წლის მიღწევისას ენიშნებათ ასაკის პენსია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 ივლისის № 622 დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად ქალებს, რომლებსაც აქვთ არანაკლებ 20 წლის საერთო სტაჟი, მათ შორის 15 წელი იმუშავეს მექანიკენ ტრაქტორისტებად კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

აღსანიშნავია, რომ შეღავათები, რომლებიც დაწესებულია მუშა-მოსამსახურე ქალებისათვის პენსიის დანიშვნის დროს, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, თითქმის მთლიანად ვრცელდება კოლმეურნე ქალებზეც.

1980 წლის მაისში გამოიცა პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილება ფრონტზე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

ცნობილია, რომ ფრონტზე დაღუპულ მეომართა მეუღლეებს 1980 წლის მაისამდეც ენიშნებოდათ პენსია, მაგრამ ამისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, რომ ისინი მეუღლეთა ფრონტზე გაწვევის წინ ყოფილიყვნენ მათს ქმაყოფაზე. გარდა ამისა, თუ პენსიის დასანიშნავად მიმართვის დროისათვის ჰყავდათ შრომისუნარიანი შვილები, მეუღლის ქმაყოფაზე ყოფნის ცნობასთან ერთად მოეთხოვებოდათ საბუთი იმის შესახებ, რომ დაინვალიდდნენ ან მიღწეული იყვნენ მოხუცებულობის ასაკს მანამდე, სანამ მეუღლე გარდაცვლობდა, ან არა უგვიანეს 5 წლისა მისი გარდაცვალების დღიდან.

1980 წლის მაისიდან კი პენსია ენიშნება ფრონტზე დაღუპული ყველა მეომრის მეუღლეს, მიუხედავად იმისა, ჯარში გაწვევის წინ იმყოფებოდა თუ არა ქმრის ქმაყოფაზე, როდის შეუსრულდა საპენსიო ასაკი და იმჟამად ჰყავს თუ არა შრომისუნარიანი შვილები.

ეს უფლება ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეთა, პარტიზანთა და აგრეთვე საპენსიო უზრუნველყოფაში საბჭოთა მოსამსახურეებთან გათანაბრებულ მოქალაქეთა შრომისუუნარო ცოლებზე, რომელთა მარჩენალი დაიღუპა (უგზოუკაცრავ ადგილებში, ან ომის ველებზე, ან ომის ველებზე დაიკარგა), ან გარდაიცვალა ფრონტზე (პარტიზანულ რაზმში), ან გარდაიცვალა უფრო გვიან, მაგრამ ფრონტზე ან პარტიზანულ რაზმში მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების შედეგად.

მარჩენალის გარდაცვალების გამო ცოლისათვის პენსიის დასანიშნავად ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომ იგი ამ გარდაცვლილ მეუღლესთან ყოფილიყო რეგისტრირებულ ქორწინებაში და მის სრულ ქმაყოფაზე. გარდაცვლილს ქმაყოფაზე ნამყოფად არ ჩაითვლება მეუღლე, რომელიც კოლმეურნეობის შრომისუნარიანი წევრი იყო.

სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების 64-ე პუნქტის შესაბამისად, გარდაცვლილის მეუღლეს პენსიის მიღების უფლება აქვს, თუ მან მოხუცებულობის ასაკს მიაღწია და დაინვალიდდა მარჩენლის გარდაცვალებამდე ან არა უგვიანეს 5 წლისა მისი სიკვდილის შემდეგ. გარდაცვლილის მეუღლეს, რომელსაც სრულწლოვანი, შრომისუნარიანი შვილები არ ჰყავს, პენსია ენიშნება მოხუცებულობის ასაკის მიღწევის ან იძვალოდობის დადგენის დროის მიუხედავად.

პენსია, რომელიც მეუღლის გარდაცვალების გამო იყო დანიშნული, პენსიონერ ქალს ენახება ანლად დაქორწინების შემთხვევაშიც.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 12 აგვისტოს დადგენილებით მრავალი შეღავათი დაემატა და კიდევ უფრო კონკრეტული გახდა დებულება ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ.

სახელმწიფო დახმარება დაენიშნებათ და მიეცემათ დედებს, რომელთაც ჰყავთ 3 შვილი, მეოთხე და ყოველი შემდგომი შვილის დაბადებისას, სახელმწიფო დახმარების რაოდენობა იზრდება ყოველთვიურად 4-დან 15 მანეთამდე შვილთა რაოდენობის მიხედვით, ასე, მაგალითად, თუ მე-4 შვილის დაბადებისას დედას ერთდროულად ეძლევა 65 მანეთი, ხოლო ყოველთვიურად ენიშნება 4 მანეთი, მე-11 შვილის დაბადებისას ერთდროულად ეძლევა 250 მანეთი, ხოლო ყოველთვიურად ენიშნება 15 მანეთი.

ერთდროული დახმარება გაიცემა ბავშვის დაბადებისას, ხოლო ყოველთვიური დახმარება ბავშვის დაბადების შემდეგ მეორე წლიდან მანამ, ვიდრე მას 5 წელი შეუსრულდება. აღნიშნული დახმარება დედას დაენიშნება და მიეცემა, მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა იგი დახმარებას მის მიერ წინათ შობილ შვილებზე.

1981 წლის 1 ნოემბრიდან ქალებს, რომლებმაც შობეს და 8 წლის ასაკამდე აღზარდეს 5 ან მეტი შვილი ან ჰყავთ თუნდაც ერთი ბავშვობიდან ინვალიდი შვილი, 55 წლის შესრულების შემდეგ მოხუცებულობის სახელმწიფო პენსია მუშაობის არასრული სტაჟით ენიშნებათ ყველა შემთხვევაში, თუ აქვთ არანაკლებ 5 წლის შრომის სტაჟი მაინც.

სახელმწიფო დახმარება დაენიშნებათ და მიეცემათ მარტოხელა დედებს (რომლებიც არ იმყოფებიან ქორწინებაში, თუ დაბადების მოწმობებში არ არსებობს ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ ან ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ მოხდენილია დადგენილი წესით დედის მითითებით). მათ დახმარება მიეცემათ თითოეულ ბავშვზე თვეში 20 მანეთის ოდენობით და გაიცემა ბავშვის 16 წლის (თუ იგი სტუდენტია, მაგრამ სტიპენდიას არ იღებს 18 წლის) შესრულებამდე.

1974 წლის 1 ოქტომბრიდან დაწესდა სოციალური უზრუნველყოფის კიდევ ერთი ახალი სახეობა: — დახმარებები ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისათვის. აღნიშნული დახმარება ენიშნება დედას თვეში 12 მანეთის ოდენობით თითოეულ ბავშვზე, რომელსაც 8 წელი არ შესრულებია, იმ შემთხვევაში, თუ მისი ოჯახის საშუალო თვიური ერთობლივი შემოსავალი თვეში 50 მანეთს არ აღემატება.

ყველა ორსულ ქალს — მუშას, მოსამსახურეს, კოლმეურნეს მიეცემა შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო 112 კალენდარული დღის ხანგრძლივობით, აქედან მშობიარობამდე 56 დღე და მშობიარობის შემდეგ 56 დღე.

არანორმალური მშობიარობის ან ორი ან მეტი შვილის დაბადების შემთხვევაში მშობიარობის შემდეგ ქალს მიეცემა შვებულება 70 კალენდარული დღის ხანგრძლივობით.

1983 წლის 1 ნოემბრიდან მომუშავე ქალს პირველი ბავშვის დაბადებისას ეძლევა ერთდროული ფულადი დახმარება 50 მანეთის, ხოლო მეორე და მესამე შვილზე — 100-100 მანეთის ოდენობით.

ქალს, რომელსაც აქვს არანაკლებ 1 წლის მუშაობის სტაჟი, ფასიანი დეკრეტული შვებულების დამთავრების შემდეგ, ბავშვის 1 წლის შესრულებამდე ეძლევა ნაწილობრივ ფასიანი შვებულება თვეში 35 მანეთის ანაზღაურებით, ხოლო ბავშვის ერთი წლის შესრულების შემდეგ კიდევ 6 თვით უგრძელდება უხელფასო შვებულება.

ერთ წერილში ძალზე ძნელია ყველა იმ შეღავათის სრულყოფილად გადმოცემა, რომლებიც ქალებისათვის არის დაწესებული მოქმედი საპენსიო კანონმდებლობით. ამიტომ ქალებს, რომლებიც ჩვენი განმარტების შემდეგ ზუსტად ვერ გაერკვევიან თავიანთ უფლებებში, დაწვრილებითი ცნობებისათვის ვურჩევთ მიმართონ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს.

„აი ია“ პირველი ჯილდო

გორი. (საკ. კორ.) ახლახან ბაქოში დამთავრდა საკავშირო მუსიკალური ფესტივალი — „ჩვენთან არის პლანეტის სიუპაბუკე!“. ავტორიტეტულმა ჟიურიმ მთავარი პრიზი გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლი „აი ია“-მ მიაკუთვნა. ეს ანსამბლის პირველი ჯილდოა.

წელიწად-ნახევრის წინათ ქალაქის საშუალო სკოლების მუსიკის მოყვარული მოსწავლეები პიონერთა სასახლეში მიიწვიეს. ბევრი მათგანი სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავდა, ბევრსაც მშვენიერი ვოკალური მონაცემები აღმოაჩნდა. ასე დაიბადა „აი ია“.

წლეულს ანსამბლის წევრები მოსკოველმა თანატოლებმა მიიწვიეს. გორელებმა დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი და კონცერტები გამართეს პიონერთა და მოსწავლეთა ცენტრალურ სასახლეში.

ამჟამად ნორჩი მუსიკოსები ახალ საკონცერტო პროგრამაზე მუშაობენ.

ოცდაშვიდი ნამუშევარი— სკკპ XXVII ყრილობას

ასე უწოდა ახალგაზრდა მხატვარმა კაპიტანმა პ. რიბინმა თავის მორიგ გამოფენას, რომელიც გაიხსნა თბილისის 26 ბავშვი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი მეთაურთა საარტელერიო უმაღლესი სასწავლებლის კლუბში.

მისი ნამუშევრების მთავარი თემაა ჯარის ცხოვრება.

გამოფენის კიდევ ერთი თემაა მხარე, სადაც მხატვარი მსახურობს. იგი წარმოდგენილია საქართველოს პიონეროებით, „თბილისობის“ დღესასწაულის დროს ნატურიდან შესრულებული ჩანახატებით.

სასწავლებლის ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლო ოცეულის მეთაური წარმატებით უსამებს ერთმანეთს სამსახურსა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლის სამხატვრო სტუდიაში მეცადინეობას. რამდენიმე წლის წინათ სწორედ აქ მოეწყო მისი დებიუტი სსრ კავშირის მხატვართა კავშირის წევრის, ყოფილი ფრონტელის, გადამდგარი კაპიტნის ა. ოტრეშკოს ხელმძღვანელობით. ვეტერანის რჩევით არმიელი ფერმწერი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე, მეცადინეობს სამხატვრო სტუდიაში საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივნისა და შემოქმედებითი ახალგაზრდობის თავკაცის მ. ახობაძის ხელმძღვანელობით, რომელსაც რიბინი თავის ერთერთ საუკეთესო მოწაფედ მიაჩნია. პეტრე მოსკოვის ხელოვნების სახალხო უნივერსიტეტის დაზგური ფერწერის განყოფილების მეორე კურსზეც სწავლობს.

დღეს არმიელი მხატვრის აქტივშია ძველ მოაზროვნეთა ათობით პორტრეტი, რომლებიც შეასრულა სასწავლებლის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრისათვის. მონაწილეობდა დიადი გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული შემოქმედების რესპუბლიკურ გამოფენაში. მის ნამუშევრებს ნახავთ რესპუბლიკის ახალგაზრდა ფერმწერთა მხატვრული ნაწარმოებების სხვადასხვა გამოფენაზეც.

ქვეყნის კომუნისტთა მომავალი ფორუმისადმი მიძღვნილი გამოფენა მხატვრის შემოქმედებითი ანგარიში გახლავთ.

სურათებზე: კაპიტანი პეტრე რიბინი (მარცხნიდან მეორე) ესაუბრება გამოფენის დამთვალიერებლებს, თბილისის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო სასწავლებლის კურსანტებს ვლადიმერ ბუტორინაკს, დმიტრი საგიდაკს და პავლე ბეზმენოვს; სურათების „ძველი თბილისის მოტივებისა“ და „ჯარისკაცის პორტრეტის“ რეპროდუქციები.

ი. ულამოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სასამართლოს დარბაზიდან

გრაკონიეროგის მსხვერპლი

ორჯონიკიძის რაიონის მაღალმთიან სოფელ ნადაბურში დიდი უბედურება დატრიალდა — ელექტროდენმა ადამიანი იმსხვერპლა. ეს ამბავი ასე მოხდა: თამაზ, გელა, ამირან და თემურ გელაშვილები სათევზაოდ წავიდნენ მდინარე ძირულაზე, მაგრამ ინკესებით კი არა, ელექტროდენით. თურმე თითოეულ მათგანს ოჯახში სპეციალურად ჰქონდა მომზადებული ელექტროსადენები, სანათებელა და სხვა მოწყობილობა,

და აი, ერთ დღეს თამაზ და თემურ გელაშვილებმა მდინარე ძირულასთან თევზის დასახოცად მიიტანეს სათადარიგო ხელსაწყოები. თემურ გელაშვილმა ელექტროსადენები ერთმანეთს გადაბა და იქვე, მდინარის პირას გამაგალ ელექტროქსელში ჩართო. შემდეგ კი შეუდგნენ ელექტროდენით თევზის დახოცვა-შეგროვებას. ნადავლით კმაყოფილებმა შინ წასვლა დაიპირეს, მაგრამ თემურ გელაშვილს ელოდებოდნენ. იგი ამ დროს მდინარის პირზე ჯერ კიდევ ელექტროქსელში ჩართულ სადენებს ახვევდა. უცებ თემურის ხელი დაუცავ სადენს შეეხო... იგი იქვე ადგილზე გარდაიცვალა.

ორჯონიკიძის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკები შემოხვევის ადგილზე მივიდნენ, ყურადღებით დაათვალიერეს ყველაფერი, გარდაცვლილის ოჯახსაც ეწვივნენ. ყველასათვის მოულოდნელად ოჯახის წევრებმა და მეზობლებმა განაცხადეს, თემურ გელაშვილი ეზოში საქმიანობის დროს უეცრად გარდაიცვალაო. ორგანოს მუშაკები ცოტა კი გაკვირვა ახლობლების ამგვარმა დამეჯითებულმა მტკიცებამ, მაგრამ მილიციის მუშაკები არ მოტყუვდნენ. მათ ოპერატიულად განახორციელეს საჭირო ღონისძიებანი და და სამართლეც დაადგინეს. საქმეს თავდახვეს გულისყურით მოეკიდა ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელი, მილიციის კაპიტანი ა. დარჩია. გამომძიების პროცესში თამაზ გელაშვილმა განმარტა, რომ მან სხვა ღღეებშიც ითევზავა ელექტროდენით და ამ სამარცხვინო საქმეში წაეზებით ჩაითრია ვეფხია და რომან ბალაშვილები — თბილისის № 49-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები.

ისინიც სათევზაოდ იყვნენ მდინარეზე წასულნი, ხელით თევზის დაჭერა ვერ მოახერხეს, შინ მობრუნებულებს თამაზი შემოხვდათ. სწორედ მან შესთავაზა — წაეაქეზა და დაიყოლია არასრულწლოვანები ამგვარი ხერხით ესარგებლათ. თამაზ გელაშვილი ერთ-ერთი ჩვენების დროს შეეცადა შეცდომაში შეეყვანა გამომძიებელი. — დანაშაულში სხვა პირების ჩათრევა განიზრახა, აქაოდა, ისინი მოსალოდნელ სასჯელს ამაცილებენო, მაგრამ გამომძიებამ მაინც შეძლო ჭეშმარიტების დადგენა.

ამრიგად, ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისგებაში მიეცნენ თამაზ, გელა, ამირან, ვეფხია და რომან გელაშვილები. მათ ბრალად დაედოთ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. თამაზ გელაშვილის ბრალდებას კი არასრულწლოვანთა დანაშაულში ჩათრევის გამო სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლით გათვალისწინებული დანაშაულიც დაემატა.

ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ სოფელ ნადაბურში მოაწყო გამსვლელი სასამართლო პროცესი. თამაზ გელაშვილს 2 წლისა და 6 თვის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, 2-2 წლის თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ გელა, რომან, ვეფხია და ამირან გელაშვილებს.

ნ. ოთიაშვილი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საინსპექციო განყოფილების ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ვახტანგ გორგასლის ლექსების კრებული „მამულო საყვარელო“.

წიგნის ანოტაციაში ავტორი წერს: „სამოცი წლის გავხდი, ჩემი მეოთხეელო. ექვსი ათეული წლის მანძილზე სულში რაც სიკეთე ვაგროვე, ამ წიგნშია გადმოტანილი. ცხოვრების ავ-კარგზე ერთხელ მაინც თუ ჩაგაფიქრებს, ლხინში თუ გაგახარებს, ჭირში თუ გაგამხნევებს, ჩემს თავს ვალმოხდილად ჩავთვლი“.

ვფიქრობთ, ვახტანგ გორგასლის ლექსების კრებულს ინტერესით გაეცნობა მკითხველი.



გამოცემლობა „მერანმა“ გამოსცა ტარიელ კვანტილაშვილის წერილების კრებული „მწერალი, ლიტერატურა, დრო“.

წიგნში მოთავსებული წერილების უმეტესობა ეხება ქართული საბჭოთა ლიტერატურის კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემებს.

ცალკეულ წერილებში ავტორი მიმოიხილავს კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის, ირაკლი აბაშიძის, იოსებ ნონეშვილის, მუხრან მაჭავარიანის, ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას.

წიგნის რედაქტორია მ. ჯაფარიძე, მხატვარი — გ. ლომიძე.



გამოცემლობა „მერანმა“ გამოსცა ტარიელ კვანტილაშვილის წერილების კრებული „ძველი, ლიტერატურა, დრო“.

ეს ლექსიკონი გამოუშვა გამომცემლობა „განათლებამ“. იგი საყურადღებოა იმითაც, რომ მისმა შემდგენელმა, თბილისის კონსერვატორიის უცხო ენათა კათედრის დოცენტმა ალისა ყიფშიძემ, რომელმაც უდიდესი მუშაობა გასწია, ლექსიკონში შეიტანა ხელოვნების სხვადასხვა დარგის უახლესი ტერმინები, კერძოდ, ისეთები, როგორიცაა ფსიქოდელური ხელოვნება (ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს პროცესებისა და ემოციური აღქმის კანონზომიერებებს), სმენით-მხედველობითი (შუქმგროვანი) პოლიფონია და სხვა.

წიგნში შევიდა აგრეთვე ქართული ხელოვნების ტერმინები „სახიობა“ (ძველი ქართული თეატრი), „სახლი სათამაშო“ (სანახაობისათვის განკუთვნილი სპეციალური შენობის სახელწოდება), „განცხრომა“ (ქართული თეატრალურ-სანახაობითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი სახეობა) და მრავალი სხვა. ლექსიკონში სტატიები განლაგებულია ანბანის მიხედვით. თითოეულ მათგანში, ძირითადად, მოცემულია ცნებისა თუ მნიშვნელობის განსაზღვრება და გამოყენების დარგები (კინო, თეატრი, ცირკი და ა. შ.).

ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი ალისა ყიფშიძის თხუთმეტი წლის შრომის შედეგია. მან შეადგინა აგრეთვე რამდენიმე წლის წინათ გამოცემული სამენოვანი „სამუსიკო ლექსიკონი“, რომლის მეორე გამოცემაზეც ახლა მუშაობს. მოსკოვის გამომცემლობა „უმაღლესმა სკოლამ“ კი გამოუშვა მის მიერ ინგლისურ ენაზე მომზადებული მუსიკის თეორიისა და ისტორიის, კომპოზიციის, ორკესტრირების, თანამედროვე კომპოზიტორთა შემოქმედების შესახებ სტატიების კრებული.

(საკინფორმი).

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲔᲡ გამოცემა, უეჭველია, დააინტერესებს არა მარტო სპეციალისტებს, არამედ მკითხველთა ფართო წრესაც. ხელოვნების რუსულ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი ამგვარი სტრუქტურით პირველად გამოდის. მასში მოცემულია ცნებები თეატრის, მუსიკის, კინოს, არქიტექტურის, სახვითი ხელოვნების, ქორეოგრაფიისა და ცირკის შესახებ. უამრავი თანამედროვე სპეციალური ტერმინი წარმოდგენილია ძირითად ევროპულ — ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და ესპანურ ენებზე.

ეს ლექსიკონი გამოუშვა გამომცემლობა „განათლებამ“. იგი საყურადღებოა იმითაც, რომ მისმა შემდგენელმა, თბილისის კონსერვატორიის უცხო ენათა კათედრის დოცენტმა ალისა ყიფშიძემ, რომელმაც უდიდესი მუშაობა გასწია, ლექსიკონში შეიტანა ხელოვნების სხვადასხვა დარგის უახლესი ტერმინები, კერძოდ, ისეთები, როგორიცაა ფსიქოდელური ხელოვნება (ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს პროცესებისა და ემოციური აღქმის კანონზომიერებებს), სმენით-მხედველობითი (შუქმგროვანი) პოლიფონია და სხვა.

წიგნში შევიდა აგრეთვე ქართული ხელოვნების ტერმინები „სახიობა“ (ძველი ქართული თეატრი), „სახლი სათამაშო“ (სანახაობისათვის განკუთვნილი სპეციალური შენობის სახელწოდება), „განცხრომა“ (ქართული თეატრალურ-სანახაობითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი სახეობა) და მრავალი სხვა. ლექსიკონში სტატიები განლაგებულია ანბანის მიხედვით. თითოეულ მათგაწში, ძირითადად, მოცემულია ცნებისა თუ მნიშვნელობის განსაზღვრება და გამოყენების დარგები (კინო, თეატრი, ცირკი და ა. შ.).

ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი ალისა ყიფშიძის თხუთმეტი წლის შრომის შედეგია. მან შეადგინა აგრეთვე რამდენიმე წლის წინათ გამოცემული სამენოვანი „სამუსიკო ლექსიკონი“, რომლის მეორე გამოცემაზეც ახ